აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში
(20.04.2018 - 20.05.2019)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომ- გენდერული თანასწორობის საბჭო) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ: საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ე.წ. სტამბულის კონვენცია), გაეროს კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW,1979) და მისი ფაკულტატიური ოქმის (1999), ასევე CEDAW-ის კომიტეტის №19 საერთო რეკომენდაციის ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის #14 ბრძანების შესაბამისად, 2017 წლის 21 მარტიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია, ხოლო 2017 წლის 19 აპრილის #17 ბრძანებით, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ჩხეტია - საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
2. მერაბ კარანაძე - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირაკლი ჭეიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;
4. დავით ბაციკაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარას“ თავმჯდომარე;
5. ცოტნე ანანიძე - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
6. ილია ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარების“ თავმჯდომარე;
7. ასმათ დიასამიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
8. გია აბულაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
9. გიორგი ცინცქილაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
10. პეტრე ზამბახიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის აპარატი, ასევე უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე.

გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს მისი შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს, ხოლო უმაღლეს საბჭოს წარუდგენს გაწეული საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აჭარის რეგიონში დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის, ქალთა გაძლიერების, ქალთა მონაწილეობითი პოლიტიკის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა ახალი გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს წინა სამოქმედო გეგმის ამოცანების გაგრძელებას შესრულების მხრივ და ამავდროულად ასახავს ახალ ამოცანებს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩვენს მთავარ პარტნიორთან საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდ IFES -თან თანამშრომლობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით.

2018 წლის 25-26 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პირველი წარდგენა მოხდა გასვლით სამუშაო შეხვედრაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ IFES-ის წარმომადგენელი მირანდა ტყაბლაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, ნუგზარ სურმანიძე, ასმათ დიასამიძე, ელგუჯა ბაგრატიონი, დავით ბაციკაძე, ხვიჩა შარაშიძე, გიორგი ცინცქილაძე, გია აბულაძე და პეტრე ზამბახიძე. გეგმის სამუშაო ვერსია პუნქტობრივად იქნა განხილული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და გენდერის საკითხებში ექსპერტთან - ირინა ჟვანიასთან ერთად.

სამუშაო შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, დარგის ექსპერტის დასკვნები სრულად აისახა სამოქმედო გეგმის გადამუშავებულ ვარიანტში, რომლის საჯარო განხილვა - პრეზენტაცია გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრის მონაწილეობით, ასევე უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის წევრების ჩართულობით, მათი მოსაზრებების გაზიარებით, 2019 წლის 16 იანვარს, სასტუმრო „რედისონის“ საკონფერენციო დარბაზში.

პროექტის წარდგენის შემდეგ, სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებზე კითხვებს დისკუსიის ფორმატში პასუხობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვაში მონაწილეობდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის ხელმძღვანელი ქეთევან მაისურაძე.

2019 წლის 22 იანვარს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ“ ინიცირების თაობაზე /ინიც: უმაღლესი საბჭოს წევრები: ნინო ჩხეტია, ცოტნე ანანიძე, გიორგი ცინცქილაძე, პეტრე ზამბახიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, მერაბ კარანაძე.

2019 წლის 30 იანვრის # 3 ბიუროს სხდომაზე, ბიურომ მხარი დაუჭირა სამოქმედო გეგმის კომიტეტებში განხილვას, რომელიც კომიტეტებმა **2019 წლის 7 თებერვლის ჩათვლით**

განიხილეს და საბოლოოდ, უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 11 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცა სამოქმედო გეგმა (№82 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“)

დოკუმენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაგრძელება - განვითარებას, ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას, ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო, სოციალური და ეკონომიკური უფლებების თანასწორი რეალიზების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

სამოქმედო გეგმა მოიცავს 7 ამოცანას და პუნქტობრივად გაწერილია 11 ფურცელზე.
სამოქმედო გეგმის ამოცანებია:

1. **გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება;**
2. **გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება;**
3. **გენდერული ბიუჯეტის ფორმირება;**
4. **ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების დონეზე;**
5. **ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (მცირე გრანტების გაცემა ქალებისათვის);**
6. **განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;**
7. **ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.**

სამოქმედო გეგმის სუბიექტებად დოკუმენტში უმაღლეს საბჭოსთან ერთად მოხსენიებულია აჭარის ა.რ. მთავრობა, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები, აჭარის მუნიციპალიტეტების საკრებულოების გენდერული თანასწორობის საბჭოები, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები.

თუკი წინა გეგმაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა შემოიფარგლებოდა ადგილობრივ დონეზე ქალთა გააქტიურებითა და წახალისების ღონისძიებებით, ახალ დოკუმენტში გაიწერა უმაღლესი საბჭოს მიერ ე.წ. კვოტირების სისტემის შემოღება, რაც მოითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ ცვლილებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები, რომლის შემდეგაც საკანონმდებლო აქტები უნდა მოვიდეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის კანონი. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩხეტია მიიჩნევს, რომ 2019-2020 წლები იქნება ამ ამოცანისა და მიზნის შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, ვინაიდან აღნიშნულ საკითხს ჰყავს საკმაო რაოდენობის მხარდამჭერები, როგორც უმრავლესობაში, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებში.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი ახალი მიზანი სამოქმედო გეგმაში არის გენდერული მიმართულებით ბიუჯეტირება, რაც გახლდათ ფაქტიურად ცარიელი ორმო, ვინაიდან ამ მიმართულებით არანაირი გამოცდილება და ცოდნა არ ჰქონია უმაღლეს საბჭოს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომელშიც ბუნებრივია უნდა აისახოს გენდერული ტიპის ასპექტები.

2019 წელი იქნება გარკვეული გამოცდილების გაზიარების, შესაბამისი ცოდნის დაგროვების და 2019 წლის ბიუჯეტის ერთგვარი ანალიზი იმისათვის, რომ 2020 წელს გადავდგათ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავების ხელშეწყობის კუთხით.

კიდევ ახალი მიზანი გაჩნდა ახალ გეგმაში - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რაც მოითხოვს პროფესიულ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას, (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისათვის), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ან/და დაინტერესებული ქალებისათვის საგანმანათლებლო-საკონსულტაციო პროგრამების განხორციელებას, ქალთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება, ბიზნესის დაგეგმვა, წარმოების, პროდუქციის ან მომსახურების გასაღების შესაძლებლობებზე.

რაც შეეხება სხვა მიზნებს, როგორიცაა გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის შემუშავება, გენდერის საკითხებში განათლება-ცნობიერების დონის ამაღლება, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, ასევე ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება, ამ მიმართულებებზე გაგრძელდება ღონისძიებების გატარება, როგორც უმაღლეს საბჭოში, ასევე მთავრობაში.